ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4193939

ნომერი: AR1633200

თარიღი : 26.09.2018

გაცემის თარიღი : 28.09.2018

გაცნობის თარიღი : 29.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ნაკვ.06/107);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გოშხოთელიანი პ/ნ 01026007472
- თბილისი, ს.ცინცაძის ქ. #83, ბ. 67

ორგანიზაცია:

- შპს ბეტა ჯგუფი კოდი: 405171996

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - კაფე, ბარი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის

24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. .არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : არსებული სიტუაციის ტოპოგრაფიული გეგმა დამოწმებული უნდა იქნას შესაბამისი ბეჭდით. ასევე ტოპოგრაფიულ გეგმაზე დაიტანეთ მიწის ნაკვეთზე და მიმოჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავები (რაც დასტურდება წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებით).

2. .არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის CAD ფაილი (AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით) : ველში აიტვირთოს არსებული სიტუაციის ტოპოგრაფიული გეგმის ვექტორული ფაილი (ამჟამად თქვენს მიერ ველში ატვირთულია საპროექტო გენ-გეგმა).

3. .საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: ველში აიტვირთოს ახალი შორი და ახლო მანძილიდან გადაღებული საინფორმაციო დაფის (ბანერის) ფოტოსურათები (ამჟამად წარმოდგენილი ბანერი დამუშავებულია და არ ასახავს რეალურ მდგომარეობას).

4. მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხაზოვანი ნაგებობა, საკომუნიკაციო ნაგებობა, საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხები, (საკ. კოდით #01.00.649) მესაკუთრე შპს "მაგთიკომი". შესაბამისად წარმოსადგენია შპს "მაგთიკომი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუსაოების თაობაზე.

5. ასევე ფიქსირდება მილსადენი, კანალიზაციის მილი (საკ. კოდით #01.01.755) მესაკუთრე სახელმწიფო. შესაბამისად წარმოსადგენია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და განთავსების ადგილის დატანით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

6. ამჟამად თქვენს მიერ წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე, სადაც მითითებულია, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტის განსათავსებლად დაცული უნდა იქნას არსებულ კოლექტორთან საპროექტო ობიექტის განთავსების ნორმები და ფეხითმოსიარულეთა სავალი ნაწილი. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ განთავსების ქემა ყოველივე ზემოაღნიშნულის დაცვის გათვალისწინებით. ასევე მიეთითოს არსებულ ხე-ნარგავებიდან საპროექტო შენობამდე დაცილების მანძილები და გაითვალისწინეთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის №13-55 დადგენილებით შევიდა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში . ცვლილების თანახმად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს 3 მეტრს, ხოლო მშენებარე შენობასა და ბუჩქებს შორის 1,5 მეტრს.

7. წარმოსადგენია მერის განკარგულება სპეცნებართვის გაცემის თაობაზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.